სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-65

გორი 20 12 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ერთერთ მნიშვნელოვან მექანიზმს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტიანად გამოყენება წარმოადგენს. შესაბამისად, საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარება და განახლება უნივერსიტეტისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით უნივერსიტეტი პერმანენტულად ახორციელებს წიგნადი (როგორც ბეჭდური, ისე ციფრული) ფონდების განახლებასა და გამდიდრებას, ელექტრონულ (მათ შორის, საერთაშორისო) საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის გაუმჯობესებასა და საბიბლიოთეკო მომსახურების განვითარებას.

მუხლი 1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება და გამდიდრება

1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება გულისხმობს დაზიანებული, გამოყენებისათვის უვარგისი ეგზემპლარების ჩანაცვლებას ანალოგიურით.

2. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება გულისხმობს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შევსებას ახალი ლიტერატურით.

3. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების ან გამდიდრების მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტების ან პერსონალის წარმომადგენელი უფლებამოსილია დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის უფროსს.

4. ფაკულტეტის დეკანი ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის უფროსი შემოსულ მოთხოვნას, მისი განხილვისა და უნივერსიტეტის მიზნებთან მოთხოვნის შესაბამისობის თაობაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით, გადასცემს სათანადო კათედრას.

5. კათედრის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი ან სტრუქტურული ერთეულის უფროსი მოთხოვნას ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების ან გამდიდრების თაობაზე წარუდგენს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, შესაბამისი შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობაზე თანხმობის წარმოდგენის მიზნით.

6. გადაწყვეტილებას ბიბლიოთეკის წიგნადი (როგორც ბეჭდური, ისე ციფრული) ფონდების განახლებისა და გამდიდრების თაობაზე იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანის ან სხვა სტრუქტურული

ერთეულის უფროსის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 2. ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა

1. ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საუნივერსიტეტო სივრციდან ელექტრონულ (მათ შორის საერთაშორისო) საბიბლიოთეკო ბაზებთან დაუბრკოლებლად წვდომის შესაძლებლობის არსებობას.

2. ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტების ან პერსონალის წარმომადგენელი უფლებამოსილია დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.

3. გადაწყვეტილებას ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის უფლების შეძენის ან პარტნიორობის/კონსორციუმის გამოყენებით აღნიშნულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის თაობაზე იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოს მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 3. საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება

1. საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის სათანადო რესურსების გამოყენებისათვის გაწეულ მომსახურებას, მათ შორის კონსულტაციების, ტრენინგების და სხვა ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველებისათვის კომფორტული საბიბლიოთეკო გარემოს უზრუნველყოფას.

2. საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება მოიცავს როგორც საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფის მიზნით საჭირო მატერიალური რესურსების განახლებასა და განვითარებას, ისე ბიბლიოთეკის თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

3. ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სტუდენტების და პერსონალის წარმომადგენლების მოსაზრებების, შენიშვნების, რჩევებისა და რეკომენდაციების, მათ შორის სათანადო გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პერიოდულად შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს საბიბლიოთეკო სერვისების განვითარების თაობაზე.

4. გადაწყვეტილებას საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების თაობაზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.